№113 2016 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „IRD Engineering“-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ

„უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „IRD Engineering“-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების (ა) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა E-60 ოთხზოლიანი მაგისტრალის გაუმჯობესებულ მონაკვეთებზე (ნატახტარი-რუისი) მოვლა-შენახვის ინტერვენციების განსასაზღვრად; ბ) მოვლა-შენახვის სამუშაოებისთვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და მოვლა-შენახვის სამუშაოების ზედამხედველობისთვის ტექნიკური დავალების შემუშავება) პროექტი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**